აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №11

21/08/2024 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1.დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის მხარდამჭერთა სიის ბლანკი;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის მოწმობა.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №5 განკარგულება და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 01 სექტემბრის №16 განკარგულება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი